ნათია არველაძე
დოქტორანტი
ნატალია იობიძე
დოქტორანტი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

კლასიკური ფილოლოგია: დოქტორანტები და სამეცნიერო ბიბლიოთეკა (სიახლეები, ხარვეზები, პრობლემები)

თეზისები: სამეცნიერო მუშაობა შეუძლებელია ლიტერატურისა და შესაბამისად, სამეცნიერო ბიბლიოთეკის გარეშე. სადისერტაციო ნაშრომის თემატიკის შერჩევის შემდეგ დოქტორანტის მუშაობა იწყება ბიბლიოგრაფიის შედგენით და ძირითად სამუშაო ველსაც სამეცნიერო ბიბლიოთეკა წარმოადგენს (Keat, Kaur, Citation Study of Library and Information Science Dissertations for Collection Development 29).
წინამდებარე ნაშრომის მიზანია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტების მაგალითზე აჩვენოს:
რა სირთულეებს აწყდებიან ახალგაზრდა მეცნიერები ბიბლიოგრაფიის შედგენის, ბეჭდური თუ ელექტრონული წიგნების მოძიება-შეძენისას; ვისაუბრებთ იმ ძალიან საინტერესო ინოვაციებზე, რომლებიც ჩვენს ბიბლიოთეკაში განხორციელდა ამ მიმართულებით, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც ახალი, ძალიან თანამედროვე ტიპის ბიბლიოთეკა აშენდა, საცავებში წლების განმავლობაში განთავსებული წიგნები დღის სინათლეზე ამოვიდა და ბევრი უნიკალური წიგნი აღმოჩნდა. მათ შორის, განსაკუთრებით საყურადღებოა მე-13-18 საუკუნეების ლათინურენოვანი ძველნაბეჭდები, რომელთა შესწავლა-თარგმნა-გაციფრულებას აპირებს აწსუ კლასიკური ფილოლოგიის მიმართულება;
როგორ შეცვალა ზოგადად ელექტრონულმა ბიბლიოთეკებმა კვლევის პრინციპები და თავად დოქტორანტების „ცხოვრება“

და რა საინტერესო სიახლეები დაინერგა ამ თვალსაზრისით ჩვენს უნივერსიტეტში;
რამდენად ხელმისაწვდომია ციფრული ლიტერატურა კლასიკური ფილოლოგიის დარგში და ის ბაზები, რომლებიც ამ მიმართულების დოქტორანტებს გაუადვილებს სამეცნიერო კვლევისა და ანალიზის პროცესს;
კიდევ რა სიახლეები იგეგმება აწსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკაში დოქტორანტების სამეცნიერო მუშაობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: კლასიკური ფილოლოგია, ბიბლიოთეკა, ბეჭდური ლიტერატურა, ციფრული ლიტერატურა

Abstract: Scientific work is impossible without literature and accordingly without the scientific library. The academic stage of selecting the theme of dissertation is followed up by creating relevant bibliography.
The aim of the present paper is to show the problems that the young researchers find related to creating the bibliography, finding or buying printed or e-books. We discuss the empirical problems with the example of the doctoral work of the students of Classical Philology at Akaki Tsereteli State University.
We discuss a number of interesting innovations that have taken place since the period of opening a modern library at the university. As a result, the books placed on the shelves for many years have come out in the light of the day and many unique books have been found. In particular, the Latin-language editions of the 13th-18th centuries, which are intended to be studied, translated and digitized by the direction of Classical Philology at Akaki Tsereteli State University.
We focus on the benefit of change of the research principles and techniques since the introduction of the electronic libraries, accordingly, the interesting innovations that have been introduced in this field at our university.
We discuss the issues of profit of digital literature and the bases which facilitate the process of scientific research and analysis for doctoral students through its availability in the field of Classical Philology.

We also underline the future plans for improving the scientific working process of doctoral students in the Scientific Library of ATSU.

Keywords: Classical Philology, Library, Printed Literature, Digital Literature

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში დაგვიგროვდა გარკვეული გამოცდილება, წავაწყდით სხვადასხვა პრობლემას, ახლოს გავიცანით ჩვენს ბიბლიოთეკაში ბოლო დროს განხორციელებული ნოვატორული ცვლილებები და გადავწყვიტეთ, გაგიზიაროთ ჩვენი გამოცდილება. სტატია არის დიდი თემის ნაწილი და ეხება არა მხოლოდ ციფრულ კლასიკურ ფილოლოგიას, არამედ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის როლს დოქტორანტების მუშაობაში.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს უნივერსიტეტის დაარსებიდან (1933 წ.) და მუდმივი განახლების პროცესშია. შესაბამისად, აქვს უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რომელიც ძირითად სამუშაო ველს წარმოადგენს კვლევის პროცესში. სტატია ემსახურება საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკისა და ონლაინ რესურსებით სარგებლობის მნიშვნელობის გამოკვეთას სადისერტაციო ნაშრომის წერის განმავლობაში და წარმოაჩენს სამეცნიერო ბიბლიოთეკის იმ სიახლეებს, ხარვეზებსა და პრობლემებს, რომლებსაც ჩვენ – დოქტორანტები მუშაობის პროცესში ვაწყდებით.

სადისერტაციო ნაშრომის წერის პროცესში ბიბლიოთეკის ფუნქციისა და მნიშვნელობის შესახებ გვინდა მოგიყვეთ კონკრეტული – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მაგალითზე. სტატია აანალიზებს ბიბლიოთეკის როლს კვლევის მსვლელობისას კლასიკური ფილოლოგიის მიმართულებით და მისი მიზანია, წარმოადგინოს, რამდენად აკმაყოფილებს აწსუ-ს ბიბლიოთეკა სადისერტაციო ნაშრომის წერის განმავლობაში შექმნილ მოთხოვნებს სამეცნიერო ლიტერატურასთან დაკავშირებით კლასიკური ფილოლოგიის დარგში.

სადისერტაციო ნაშრომის თემატიკის შერჩევის შემდეგ უპირველეს ყოვლისა მუშაობა დავიწყეთ ბიბლიოგრაფიის შედგენით. თავდაპირველად მოვიძიეთ არსებული სამეცნიერო მასალა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. შემდგომ, ცხადია, გავეცანით სხვა უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებსაც, რომელთა შორის კლასიკური ფილოლოგიის დარგში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ის უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რომელიც

არსებობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში, რომლის მისამართია თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №13. როგორც ვიცით, აღნიშნული ბიბლიოთეკის საშუალებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კლასიკური ფილოლოგიის მიმართულებით დისერტაციები იწერებოდა სხვა ქვეყნებისა თუ ქალაქების ბიბლიოთეკებში ვიზიტის გარეშე, თსუ-ს ბიბლიოთეკაში არსებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით. აღსანიშნავია, რომ აწსუ-ს კლასიკური ფილოლოგიის მიმართულებასა და თსუ-ს კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც გვაძლევს საშუალებას, შევიძინოთ ყველა ახალი წიგნი კლასიკური ფილოლოგიის დარგში. ჩვენი ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში არსებული კლასიკური ფილოლოგიის წიგნადი ფონდის დიდი ნაწილი სწორედ ამ გზით არის შეძენილი, რადგან თსუ-ს VIII კორპუსში განთავსებულია კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ცენტრი, სადაც ერთ კორპუსშია თავმოყრილი ამ მიმართულების სასწავლო პროცესი, ადმინისტრაცია, კვლევის პროცესი და გამომცემლობა. ჩვენ მუდმივად ვართ ინფორმირებული ახალი წიგნების გამოცემასთან დაკავშირებით და გვაქვს მათი შეძენის საშუალება.

უკანასკნელ წლებში ბევრი კარგი სიახლე მოხდა ჩვენს უნივერსიტეტში საბიბლიოთეკო მიმართულებით: ბიბლიოთეკამ ააშენა ახალი შენობა, რადგან ძველ შენობაში სამუშაო პირობები არ შეესაბამებოდა თანამედროვე მოთხოვნებს; არ იყო საკმარისი სივრცე სამუშაოდ და ა.შ. ბიბლიოთეკაში მიმდინარე სიახლეებზე საუბრისას, უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ ავტორიზაციის პროცესში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა იყო ის კომპონენტი, რომელიც სრულ შესაბამისობაში აღმოჩნდა არსებულ მოთხოვნებთან და უნივერსიტეტმა სხვა მიმართულებებთან ერთად სრული აკრედიტაცია წარმატებით სწორედ საბიბლიოთეკო სივრცის ნაწილში გაიარა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მიმდინარე რევოლუციური ცვლილებები, ბუნებრივია, განპირობებული არის რიგი მიზეზებით: ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს შრომისმოყვარე, ახალგაზრდა და ენთუზიასტი დირექტორი გიორგი ჭიჭინაძე, რომლის დიდი წილია იმ პოზიტიურ პროცესებში, რომლებიც ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მიმდინარეობს; რა თქმა უნდა, ამასთან ერთად, ბიბლიოთეკას ჰქონდა და აქვს უდიდესი მხარდაჭერა ადმინისტრაციის მხრიდან. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ყველა მისი იდეა იყო გაზიარებული და ამგვარი იდეები საკმაოდ მრავლად იყო. შედეგად, ბიბლიოთეკაში შეიცვალა სამუშაო გარემო და პროცედურები, სტუდენტებისა და ბიბლიოთეკის მომხმარებლებისადმი

დამოკიდებულება, საბიბლიოთეკო მომსახურების სფეროში აქტიურად ჩაერთო თანამედროვე ტექნოლოგიები. ბიბლიოთეკის გახსნა იყო უნივერსიტეტის ცხოვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, გვყავდა ბევრი უცხოელი სტუმარი, რომელთაც აღფრთოვანება გამოხატეს როგორც შენობის არქიტექტურის, ასევე მისი ფუნქციური დანიშნულებისადმი.

რამდენადაც სამეცნიერო მუშაობა შეუძლებელია ლიტერატურისა და, შესაბამისად, ბიბლიოთეკის გარეშე, ბიბლიოთეკაში მიმდინარე ცვლილებები მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს კლასიკური ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისთვის, როგორც ტრადიციულ, ასევე ელექტრონულ მასალაზე მუშაობის თვალსაზრისით.

უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა გამოხატავს მუდმივ მზადყოფნას საჭირო სამეცნიერო თუ მხატვრული ლიტერატურის შესაძენად კლასიკური ფილოლოგიის დარგში. რამდენადაც კლასიკური ფილოლოგიის მიმართულება შედარებით ახალი შექმნილია ჩვენს უნივერსიტეტში, იყო გარკვეული ხარვეზები სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატურასთან დაკავშირებით ამ მიმართულებით, თუმცა აღნიშნული ხარვეზების შესავსებად საკმაო რაოდენობის ლიმიტია გამოყოფილი და შეიძლება ითქვას, რომ აწსუ-ს ბიბლიოთეკა შეუზღუდავი რაოდენობით იძენს საჭირო სამეცნიერო თუ მხატვრულ ლიტერატურას. მათ შორის, ბიბლიოთეკა იძენს წიგნებს ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად, კონკრეტული დოქტორანტის მიერ კონკრეტულ ნაშრომზე მუშაობის პროცესში. წიგნები კლასიკური ფილოლოგიის მიმართულებით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ ბოლოს გასულ სასწავლო წელს შეიძინა. შენაძენის ღირებულება დაახლოებით 2000 ლარს შეადგენდა. შედეგად, ჯერ-ჯერობით, რა თქმა უნდა ვერ შევედრებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას კლასიკური ფილოლოგიის დარგში, თუმცა შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ჩვენი მიმართულებით დაგროვდა წიგნების საკმაო რაოდენობა, რაც დოქტორანტებს საშუალებას აძლევს, ადგილზე გაეცნონ სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში საჭირო სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატურას. ბიბლიოთეკა ასევე მზად არის, შეიძინოს აწსუ-ში დარგის სპეციალისტების ავტორობით გამოცემული სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები.

აქვე იკვეთება პრობლემა კლასიკური ფილოლოგიის დარგში უცხოენოვანი სამეცნიერო მასალის ქართულად თარგმნის საკითხთან დაკავშირებით. ძალიან აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები ამ მიმართულებით, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ქართველი ფილოლოგ-კლასიკოსები საერთოდ ცოტანი არიან, ბევრი რამ ჯერ

კიდევ არ არის ნათარგმნი. რა თქმა უნდა, სპეციალისტმა სამეცნიერო მასალა ისედაც ორიგინალში უნდა წაიკითხოს, რადგან ორიგინალში შევძლებთ, ყურადღება მივაქციოთ დეტალებს კონკრეტულ სადისერტაციო ნაშრომის თემასთან მიმართებით, მაგალითად ეპითეტებთან ან სათაურებთან დაკავშირებით (რაც ჩვენი საკვლევი თემებია), მაგრამ ქართულენოვანი მასალა მუშაობას გააადვილებს, რადგან მოგვცემს შესაძლებლობას, მშობლიურ ენაზე გავეცნოთ მასალის იმ ნაწილს, რომელიც არ უკავშირდება სადისერტაციო ნაშრომს და მისი ორიგინალში გაცნობაც არ არის არსებითი. რაც შეეხება ჩვენს საკვლევ თემებს, არც ეპითეტებზე და არც სათაურის ფუნქციაზე, რაზეც ამჟამად ვმუშაობთ, მასალა ქართულ ენაზე ფაქტობრივად არ არსებობს. ჩვენ არ გვაქვს უცხო ენაზე მუშაობის პრობლემა, მაგრამ რაღაც ნაწილი მაინც რომ იყოს თარგმნილი ქართულ ენაზე, უფრო კარგი იქნებოდა.

ბეჭდურ ლიტერატურაზე მუშაობის პროცესში დოქტორანტისთვის მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს ის სიახლეები, რომლებიც მიმდინარეობს ბიბლიოთეკის აკომოდაციასთან დაკავშირებით (Oppenheim, *The Value of Libraries for Research and Researchers* 12). აწსუ-ს ბიბლიოთეკა განსაკუთრებულ კომფორტს სთავაზობს დოქტორანტებს, რადგან ის აღჭურვილია ჯგუფური და ინდივიდუალური კაბინებით, რომელთა ხელმისაწვდომობის დადგენა და დაჯავშნა ელექტრონულად არის შესაძლებელი, რაც ზოგავს დოქტორანტის დროს, ენერგიას, ფინანსებს და სხვა. ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზი დოქტორანტებს აძლევს შესაძლებლობას, აკადემიურ გარემოში წარმოადგინონ სამეცნიერო მოხსენებები და კოლოკვიუმები თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. ახლო მომავალში იგეგმება ბიბლიოთეკის შენობაში დოქტორანტების სპეციალური კლასტერის მოწყობა, რაც კიდევ უფრო მარტივს და კომფორტულს გახდის დოქტორანტების მუშაობას. გარდა ამისა, იგეგმება ინდივიდუალური სამკითხველო კაბინების მოწყობა არა მხოლოდ ბიბლიოთეკის შენობაში, არამედ უნივერსიტეტის სხვადასხვა კორპუსში. აქვე გვინდა ვახსენოთ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამკითხველო დარბაზი, რომელიც დოქტორანტების საყვარელი ადგილია უნივერსიტეტში. დოქტორანტები აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა ღონისძიებებში კლასიკური ფილოლოგიის მიმართულებით და საშუალება ეძლევათ, ამ ბიბლიოთეკის სასიამოვნო გარემოში დაგეგმონ ღონისძიებები. ამასთან, წიგნების უმეტესობა კლასიკური ფილოლოგიის მიმართულებით სწორედ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში არის განთავსებული და დაცული.

ახლა კიდევ ერთ საინტერესო ამბავს შევეხებით: უნივერსიტეტს აქვს წიგნთა უზარმაზარი საცავები, რომელთა იერსახე სრულიად განსხვავებულია იმისგან, რაც ბიბლიოთეკის განახლებამდე იყო. ძველ საცავებში იყო არცთუ სახარბიელო გარემო, სადაც შესვლა თავად თანამშრომლებსაც არ უყვარდათ. მუშაობის პროცესში ისინი აღიჭურვებოდნენ ხელთათმანებით, პირბადეებით და ფსიქოლოგიური მდგრადობით. საცავებში არ იყო საკმარისი სივრცე, განათება და ა.შ, რაც ართულებდა წიგნის მოძიებას. ამჟამად, შეგიძლიათ, თავად ნახოთ, რომ დრომ დაჭმუჭნა და წარსულს ჩააბარა ეს გარემო და საცავები გახდა იმდენად თანამედროვე, ნათელი, სუფთა და მოწესრიგებული, როგორიც არ არის ბევრი სამკითხველო დარბაზი. განსაკუთრებული ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმაზე, რომ საცავების განახლება მნიშვნელოვანი სიახლე აღმოჩნდა კლასიკური ფილოლოგიის მიმართულების დოქტორანტებისთვის, რადგან სწორედ აღნიშნული საცავების გახსნისა და მოწესრიგების შემდეგ გახდა ხელმისაწვდომი მე-13-მე-18 საუკუნეების ლათინურენოვანი ძველნაბეჭდები, რომელთა თარგმნასა და გაციფრულებას გეგმავს კლასიკური ფილოლოგიის დარგი, რაც ხელმისაწვდომი, საინტერესო და გამოსადეგი იქნება არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო სპეციალისტებისა თუ შემსწავლელებისთვის როგორც კლასიკური ფილოლოგიის, ასევე სხვა არაერთ დარგში.

როგორც აღვნიშნეთ, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა თითქმის ცხრა ათეული წელია ფუნქციონირებს, შესაბამისად, მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ბეჭდური ლიტერატურის რესტავრაცია-კონსერვაციის პროცესი, რომელიც აწსუ-ს ბიბლიოთეკაში მაღალ დონეზეა აყვანილი როგორც თანამშრომლების, ასევე ტექნიკური თვალსაზრისით.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ინარჩუნებს კატალოგიზაციის კლასიკურ ფორმატს და იგი იძლევა როგორც ელექტრონული, ასევე, ტრადიციული კატალოგის გამოყენების შესაძლებლობას, მათ შორის კლასიკურ ფილოლოგიაში. ყველამ ვიცით, რომ ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში არის ინფორმაცია ყველა წიგნზე, თუმცა, ეს ინფორმაცია აქამდე მხოლოდ ბეჭდური ფორმით მოიპოვებოდა. მართალია, ხდებოდა დროდადრო არსებული კატალოგის ხელის შევლება, თუმცა აღნიშნული ფორმატი ხშირად ქმნიდა დისკომფორტს მუშაობის პროცესში. ამდენად, ციფრული კატალოგი გახდა მისი მისაღები ალტერნატივა.

კატალოგთან მუშაობის პროცესში დოქტორანტები ვაწყდებით გარკვეულ სირთულეებს, რადგან კატალოგში მოცემულია ინფორმაცია მხოლოდ წიგნის ავტორისა და სათაურის შესახებ. არც ბეჭდური და არც ელექტრონული კატალოგი არ იძლევა ინფორმაციას წიგნის

შინაარსთან დაკავშირებით. რადგან კატალოგი არ გვთავაზობს წიგნის ანოტაციას, საჭირო ხდება წიგნის უშუალოდ მოძიება და დამუშავება იმისთვის, რომ მის შინაარს გავეცნოთ და ამის შემდგომ გადავწყვიტოთ, რამდენად შეესაბამება ის ჩვენს ინტერესს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, რაც დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს.

გადავიდეთ ციფრულ ლიტერატურაზე და განვიხილოთ თუ როგორ აისახა თანამედროვე პროცესები ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაზე და როგორ ეხმარება ეს კლასიკური ფილოლოგიის დოქტორანტებს სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში. საზოგადოდ, ციფრული ფილოლოგია, როგორც ვიცით, ახალი მიმართულებაა და ის ჯერ კიდევ დახვეწისა და ფორმულირების პროცესშია, თუმცა ამ მიმართულების სიახლეები მნიშვნელოვნად ცვლის და ამარტივებს დოქტორანტების ცხოვრებას (Pavani, *The Role of Digital Libraries in Higher Education* 3). კლასიკური ფილოლოგიის მიმართულების დოქტორანტებს ხელი მიუწვდებოდათ მხოლოდ თსუ-ს ან საოჯახო ბიბლიოთეკებში არსებულ წიგნებზე, რაც იწვევდა სამეცნიერო მასალის მოსაძიებლად თვეების განმავლობაში თბილისში მუშაობის აუცილებლობას. აქვე, თანადგომისთვის მადლობა გვინდა გადავუხადოთ ბ-ნ რისმაგ გორდეზიანს და კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის მთელ აკადემიურ პერსონალს. დღესდღეობით რა თქმა უნდა კლასიკური ფილოლოგიის დარგის დოქტორანტები ვერ აუვლიან გვერდს თსუ-ს ბიბლიოთეკაში მუშაობას, თუმცა თანამედროვე სიახლეებმა ეს პრობლემები გარკვეულწილად მოხსნა. როგორც სოციალურმა ქსელებმა აქცია სამყარო პატარა სოფლად, იგივე მოხდა საბიბლიოთეკო სივრცეში და დღეისათვის, სხვადასხვა სამეცნიერო მასალაზე წვდომა შესაძლებელია სახლიდან გაუსვლელად. სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში მნიშვნელოვან დახმარებას გვიწევს ის ელექტრონული ბაზები, რომლებიც აწსუ-ს ბიბლიოთეკისთვის არის უფასოდ ხელმისაწვდომი. ამასთან, ბაზები მუდმივად განახლებადია. ამჟამად აწსუ-ს ბიბლიოთეკის ელექტრონული ბაზების რაოდენობა 15 ერთეულს ითვლის: Cambridge University Press; Royal Society Publishing; The New England Journal of Medicine; Clarivate Analytics; Oxford University Press Journals; Savejournals; ScienceDirect; JSTOR; EbscoHost; BioOne; IMF; Scopus; eDuke Journals; Elgaronlinbe; OpenEdition. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია კვლავ აგრძელებს პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებას, რათა მოიპოვოს დონაცია კიდევ სხვა ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე. ბიბლიოთეკა ასევე იძლევა შესაძლებლობას, კონკრეტული დეპარტამენტის მხრიდან დაყენებულ იქნას საკითხი კონკრეტული ელექტრონული რესურსის შესყიდვასთან

დაკავშირებით. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, ცალკეულ შემთხვევაში დავაყენოთ საკითხი კონკრეტული ელექტრონული ბაზის შესყიდვასთან დაკავშირებით და დეპარტამენტის შუამდგომლობით ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია ითვალისწინებს ამგვარ მოთხოვნას.

რიგ შემთხვევებში დოქტორანტებისთვის გარკვეულ პრობლემას ქმნის ელექტრონული ბაზების მიერ მოწოდებული ინფორმაციის გაუმართავობა. მაგალითად, საძიებო სიტყვის მითითებისას, ქუდში იძებნება ათობით ათასი სტატია, რადგან ელექტრონული ბაზა ინფორმაციას პოულობს ასოციაციური ჯაჭვის პრინციპით და შედეგად, მოძიებულ მასალას შორის ბევრია ისეთი, რომელიც რეალურად არ შეესაბამება თემას. ასეთ შემთხვევაში საჭირო ხდება ყოველი ცალკეული თემის ანოტაციის გაცნობა იმისთვის, რომ დავადგინოთ, რამდენად შეესაბამება ის ჩვენს ინტერესს.

მთავარი პრობლემა, რომელსაც ელექტრონულ ბაზებთან მუშაობის დროს ვაწყდებით, ის არის, რომ მათზე წვდომა მხოლოდ უნივერსიტეტის სივრციდან გვაქვს. დოქტორანტებს, კორპორატიული ელექტრონული ფოსტის მითითების მიუხედავად, ჯერ-ჯერობით უნივერსიტეტის გარდა სხვა სივრციდან არ გვაქვს წვდომა არსებულ სამეცნიერო ბაზებზე. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ანოტაციის წაკითხვა და მოძიებული მასალის დამახსოვრება, შემდეგ კი საჭიროა უნივერსიტეტის სივრცეში მისვლა იმისთვის, რომ სრულყოფილად გავეცნოთ აღნიშნულ მასალას, რაც ითხოვს დამატებით დროსა და ენერგიას. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დღეისათვის, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია მუშაობს ამ მიმართულებით.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც ამ ეტაპზე ვაწყდებით, ეს არის ციფრული ფილოლოგიის შედარებით ნაკლებად გამოყენება. კლასიკური ფილოლოგიის მიმართულება გარკვეულწილად შეეცადა ამ პრობლემის აღმოფხვრას და ციფრულ ჰუმანიტარიაში ცოდნის შეძენის მიზნით მოიწვია კლასიკური ფილოლოგიისა და ციფრული ჰუმანიტარიის ცნობილი სპეციალისტი ბულგარეთში – სოფიას უნივერსიტეტის პროფესორი დიმიტარ ილიევი, რომელმაც ჩაატარა ლექციები ციფრულ ფილოლოგიაში, რაც საინტერესო და გამოსადეგი იყო აწსუ-ს კლასიკოსებისთვის.

აწსუ-ს ბიბლიოთეკის ციფრული ლიტერატურის მნიშვნელოვანი კომპონენტია ქართულენოვანი ანტიკური მხატვრული ტექსტებისა და სამეცნიერო ლიტერატურის გაციფრულების საკითხი, რაც მნიშვნელოვანია დოქტორანტებისთვის, რადგან რაც მეტ ციფრულ წიგნზე მიუწვდება ხელი, თანამედროვე სტუდენტისთვის მით უფრო მარტივი ხდება სამუშაო პროცესი. კლასიკური ფილოლოგიის დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ

ქართულენოვანი კვლევები ამ მიმართულებით, სხვა დარგების უმეტესობასთან შედარებით, საკმაოდ მცირეა, სამუშაო პროცესს ართულებს ის, რომ არსებული ქართულენოვანი სამეცნიერო მასალაც არ არის სრულყოფილად გაციფრულებული, თუმცა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს კლასიკური ფილოლოგიის დარგში არსებული ბეჭდური ლიტერატურის გაციფრულება. სტანდარტული პროცესის გარდა, თანამშრომელთა მოთხოვნის შესაბამისად, შესაძლოა, განხორციელდეს ლიტერატურის დაყოფა „ლიდერებად“ და მოხდეს მათი ამგვარი გაციფრულება (პრიორიტეტების მიხედვით). წიგნების გაციფრულებაში არა მხოლოდ ბიბლიოთეკის მოქმედი თანამშრომლები იღებენ მონაწილეობას, არამედ სტუდენტებიც არიან ჩართული, რამდენადაც ბიბლიოთეკა უწყვეტად აწარმოებს სტუდენტური დასაქმების პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფს როგორც სტუდენტების სტაჟირებას, ასევე, აძლევს მათ დასაქმების შესაძლებლობას, მათ შორის კლასიკური ფილოლოგიის მიმართულებით.

და ბოლოს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღესდღეობით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სრულიად მორგებულია დოქტორანტების მოთხოვნებს და წარმოადგენს აბსოლუტური კომფორტის ზონას. ამის დასტურია ისიც, რომ მის სივრცეში ერთიანდება, როგორც სხვადასხვა ქვეყნის წამომადგენელთა კაბინეტები, ასევე, Fablab-ი და სტუდენტური სერვისების სამსახური, რაც აძლევს სტუდენტს ერთ სივრცეში სხვადასხვა საქმის წარმოების შესაძლებლობას. საყოველთაო ხელმისაწვდომობისთვის ბიბლიოთეკა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, რაც აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოებაში. ამასთან, უკვე დაწყებულია პროექტი, რომელიც გეგმავს აუდიოწიგნების ცალკე ფონდის შექმნას.

სულ ეს იყო, რაც თქვენთვის გვინდოდა გაგვეზიარებინა. მაშ, შევაჯამოთ მოწოდებული ინფორმაცია:

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მიმდინარე საინტერესო ინოვაციებმა დიდწილად შეცვალა კლასიკური ფილოლოგიის დარგში დოქტორანტების სამუშაო პროცესი: ხელმისაწვდომი გახადა მნიშვნელოვანი სამეცნიერო მასალა;

აწსუ-ს სამეცნიერო ბაზებს შორის სადისერტაციო კვლევის პროცესში ვიყენებთ თითქმის ყველა სამეცნიერო ბაზას, რომელთა შორის Sage Journals და JSTOR ყველაზე მეტ ნაშრომს აჩვენებენ კლასიკური ფილოლოგიის დარგში. კლასიკური ფილოლოგიის ქუდში არსებული ნაშრომების მოძიებისას Sage Journals გვაჩვენებს 3,000-მდე ნაშრომს. იგივე ქუდის ქვეშ JSTOR რამდენიმე ათეულ ათას ნაშრომს

აერთიანებს (ბუნებრივია, ქუდში შემავალი სტატიები საჭიროებს დახარისხებას);

ბიბლიოთეკა სთავაზობს კლასიკური ფილოლოგიის დოქტორანტებს არა მხოლოდ წიგნების მოძიების, არამედ დამატებითი, ახალი კვლევების დაგეგმვისა და წარმოების შესაძლებლობას;

რაც შეეხება ამ დროისათვის არსებულ ხარვეზებს, რასაც კლასიკური ფილოლოგიის დოქტორანტები მუშაობის პროცესში ვაწყდებით ციფრული ფილოლოგიის გამოყენებასთან, ელექტრონული ინფორმაციის გაუმართაობასა და ქართულენოვანი მასალის გაციფრულებასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ მოსაწესრიგებელია. ჩვენ გვჯერა, ეს პრობლემებიც მალე მოგვარდება და ჩვენს შემდეგ აწსუ-ს კლასიკური ფილოლოგიის პროგრამაზე მოსული დოქტორანტებისთვის სამუშაო პროცესი კიდევ უფრო კომფორტული და საინტერესო გახდება.

ბიბლიოგრაფია

Keat, Yeap Chun, Kaur, Kiran, "Citation Study of Library and Information Science Dissertations for Collection Development", in *Malaysian Journal of Library & Information Science*, vol.13, n° 2, Malaysia, University of Malaysia, 2008, p. 29-47.

Pavani, Ana, "The Role of Digital Libraries in Higher Education", in *International Conference on Engineering Education*, Rio de Janeiro, Pontifícia Universidade Católica do Rio de Janeiro, 2007.

Oppenheim, Charles, *The Value of Libraries for Research and Researchers,* Research Information Network, 2011.